პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, მეერთდით! ᲨᲐᲒᲐᲗᲘ, 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1925 Წ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲛᲘᲗᲝᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ

№ 23 (711) 1 და 2 პ.მ. Დ.ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

რედაქც. მის. ტფ., ივანგულოვის ქუჩა ელს. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩვეულებრივ: ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერგ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 თებერვალს, წითელი არმიისადა ფლოტის სახლში (კალინინის ქუჩა, № 51) შესდგება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პარტიული კომისიის სხდომა 1-ლ ქ. დივიზიის, კავკასიის პირველ მსრ. დივიზიის, კავკასიის ცალკე ცხენოსანთა ბრიგადის პარტკომისიების, ტფილისის გარნიზონის უჯრედების და კოლექტივების მდივნების მონაწილეობით (ბრიგადისა და 1-ლ ქ. მ. დივიზიის ჩათვლით).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲠᲘᲒᲘ:

1. რკპ-ს (ბ) არა პროლეტარულ შემადგენლობის მომავალ განხილვის შესახებ. მოხსენებას გაკეთებს ამხ. სტელმახი, თანამომხსენებლები—დივიზიების პარტკომისიიდან—ამხ. ბაკოვი.

1-ლ ქართ. დივიზიიდან—ამხ. ლომიძე.

კავკასიის ცალკე ცხენოსანთა ბრიგადიდან—ამხ. გუბინი.

2. მოხსენება გასასინჯავ უჯრედების და კოლექტივების მდივნებისა გასინჯვისთვის გაკეთებულ მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.

3. 30 განცხადების განხილვა კანდიდატად მიღებისა და პარტიის წევრად გადაყვანის შესახებ.

4. დივიზიის პარტკომისიებისა და ცალკე ამხანაგების ოქმების გადასინჯვა.

დასაწყისი სრულ 6 საათზე.

კრებაზე შესვლა—პარტბილეთებით და კანდიდატების ბრალეებით.

ᲔᲠᲘᲝ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲒᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ.

ერიოს უკანასკნელმა გამოსვლამ საფრანგეთის პალატაში ერდა ახალი აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას გერმანიისადმი. როდესაც მთავრობის სათავეში პუანკარე ლ ერიო დიდის რიხით უსაყვედურებდა მას დაპყრობითი პოლიტიკას, რომელსაც პუანკარე აწარმოებდა გერმანიის ინააღმდეგ.

თავის დროზედ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ არსებითად პუანკარესა და ერიოს შორის ფაქტიური განსხვავება არ არსებობს, რომ ერიო, როდესაც ბახტა მინისტრი-თავმჯდომარე ბესაც შესცელის ბულგულის ბულგულის მგლის ღმუილზეო.

ჩვენი წინასარმეტყველება ბოლოებით გამართლდა. თავისი, ოლ ხნის მინისტრობის ინამდგომობაზე ყოფნისა ერიომ ძლიერ სწრაფად იცვალა ფერი. დღეს ის არაფრით არ განსხვავდება პუანკარესგან, ანდან ისიც თანახმაა რურის ოკუპაციისა.

რასაც პუანკარეს უსაყვედურებდა, ამას თვითონ ატარებს ცხოვრებაში. თავის უკანასკნელ სიტყვაში მან სავსებით ეზიარა ინგლისის პუანკარესეულ აზრი, რომ არ ბრალ გაყვანილი გერმანიიდან ბრალ ოკუპაციო ჯარები. ეს აზრი მან მტკიცედ გამიმორა და ამისათვის მთელი საფრანგეთის ბურჟუაზის კურთხევა—ლოცვა დიმსახურა.

ერიოს ასეთი გამოსვლა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

რეაქციის გაძლიერება, რომელიც დღეს ახასიათებს ევროპას საფრანგეთშიც უნდა მომხდარიყო.

ერიოს ან უნდა გაეწევებინა თავისი შემთანხმებლობის პოლიტიკისათვის თავი და აეღო პუანკარეს ტონი, ან და ადგილი უნდა დაეთმო საფრანგეთის რეაქციონერებისათვის.

ერიომ პირველი გზა აირჩია, ვინაიდან რადიკალ-სოციალისტობიდან რეაქციის ბანაკისაკენ ერთი ნაბიჯია, რომელიც მან თამამად გადასდგა. და დღეს ერიო არა ნაკლები რიხით აწარმოებს დაპყრობითი პოლიტიკას გერმანიის თუ სხვა სახელმწიფოს მიმართ. ამას აკეთებდა თვით ნეტარ-ხსენებული პუანკარე.

ერიოს გაპუანკარება საუკეთესო მაგალითია იმის თუ რას წარმოადგენს ეგრედ წოდებული პაციფიზმი და დემოკრატიზმი, რომელიც საბოლოოდ რეაქციად და ფაშიზმად იქცევა.

ამიტომაც მუშათა კლასის განთავისუფლება მიღის არა დემოკრატიზმის და პაციფიზმის გზით, არამედ პროლეტარული რევოლიუციის გზით.

ᲞᲠᲐᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

როსტას თანამშრომელთან საუბარში საფრანგეთ-საბჭოთა ურთი-ერთობის შესახებ ამხ. კრასინმა განაცხადა:

„ჩემი საფრანგეთში გამგზავრების მიზანი იყო ნორმალურ ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის. ასეთი ურთი-ერთობა ამ ჟამად დამყარებულია.

რაც შეეხება ფინანსიურ ურთი-ერთობას, დღემდის სწარმოებდა მოლაპარაკება ბანკების მიერ სესხით დახმარების შესახებ. ჩვენი ბანკის საგარეო ვაჭრობის თავმჯდომარემ—ტარატუტამ მოიტანა ამ ჟამად მოსკოვში სამი გეგმა საფრანგეთ-საბჭოთა ბანკის დაარსების შესახებ, სადაც უცხოელები იძლევიან სესხად 300-400 მილიონ ფრანკს საგარეო ვაჭრობისათვის.

ჩვენი ჩასვლა საფრანგეთში მოხდა იმ დროს, როცა იქ გამწვავდა შინაური კრიზისი. ჩვენს მიმართ დამოკიდებულებაზე საფრანგეთის მხრივ გავლენა მოახდინა აგრეთვე ინგლისის კონსერვატორების მოქცევამ სახელმწიფოს სათავეში.

ამას გარდა საბჭოთა კავშირისადმი დამახასიათებელია აგრეთვე შემდეგი გაქტი:

„ჩემთან ერთხელ მოვიდენ რუსეთის ფასიან ქაღალდების

ამხ. კრასინი. ს. ს. რ. კ. წარმომადგენელი საფრანგეთში.

წვრილ მეპატრონეების დეპუტაცია, რომელთა შორის იყვნენ ისეთი დემოკრატიული ელემენტები, როგორც მაგალითად მეეზოვე: თავმჯდომარემ მოიხსენიეა მიმეღო მე ეს დელეგატები არა როგორც რუსეთის კრედიტორები, არამედ როგორც საფრანგეთის მცირე შემძლეების მქონე მცხოვრებლები, რომლებიც სთხოვენ საბჭოთა რუსეთის მასებს შევიდენ მათ მდგომარეობაში და გაუგზავნონ რაიმე კომპენსაცია (ანაზღაურება) იმ ზარალისა, რომელიც მოუხდათ მათ“.

ვრანგელისეულ ფლოტის შესახებ კრასინმა განაცხადა.

ერიომ პირველადვე შემპირდა, რომ ფლოტი დაგვიბრუნდება ჩვენ, როცა გემების გამსინჯავი კომისია დაბრუნდა პარიზში, ერიომ განაცხადა რომ ამ ფლოტის საკითხთან დაკავშირებით; იბადება საკითხი ვალებთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობა თუმცა არ უარყოფს გემების დაბრუნებას, მაგრამ საქმე ჯერ-ჯერობით ფერხდება.

მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით ჩვენი გემების დაკავება დაუშვებელია“.

ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ (ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ) ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ.

საფრანგეთში მყოფ რუს ემიგრანტების განწყობილების შესახებ კრასინმა განაცხადა:

„ემიგრაციის მასების განწყობილება ისეთია, რომ მათი მიდრეკილება მიმართულია საბჭოთა ცნობისაკენ.

შემოდის მრავალი განცხადება რუსეთში დაბრუნების შესახებ.

დასასრულ კრასინმა განაცხადა:

„მიუხედავად იმ არა-სასიამოვნო ატმოსფერისა, რომელიც შეჰქმნა განგებ მოწყობილმა გაზეთების კამპანიამ ჩვენი ჩასვლისთანავე საფრანგეთში, ჩვენ მაინც შევსძელით აღვგენგინა საფრანგეთის საზ.მინ და პოლიტიკური წრეების ნორმალური დამოკიდებულება ჩვენდამი.“

ᲔᲠᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

29 იანვარს საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე ერიომ განაცხადა:

„„ჩემი პოზიცია გერმანიის მიმართ არ არის გამოწკეული რეინზე დარჩენის ფიქსული სურვილით. მე ვიცავ მხოლოდ საზავო ხელშეკრულების და უწინდელად ვფიქრობ, რომ საკითხი არბიტრაჟზე, სამედიატორო სასამართლოზე, უზრუნველყოფაზე და განიარაღებაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან.“

პალატამ ერთხმად დადგინა გადაბეჭდოს და გაკრას ქუჩებში ერიოს სიტყვა.

ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲮᲘᲚᲘ ᲔᲠᲘᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲖᲔ.

საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეები მხურვალედ ესალმება ერიოს სიტყვას, რომელშიაც მან აღნიშნა გერმანიის შეიარაღებით მოსალოდნელი საშიშროება.

„ცუდი იქნებოდა ჩვენის მხრივ—ამბობს მემარჯვენე პრესა-ი მიესალმებოდით ერიოს, რომელიც იმეორებს ჩვენს აზრებს გერმანიის ბოროტ განზრახვის შესახებ“.

კომუნისტები, რომლებიც არ იზიარებენ საერთო აღფრთოვნებას, აღნიშნავენ, რომ პალატის გუშინდელ სხდომაზე მემარცხენე ბლოკი შეუერთდა ნაციონალისტურ ბლოკს შოვინისტურ მისწრაფებაშიო.

საქმესთან გაცნობილი წრეები აღნიშნავენ, რომ ერიოს ასეთი გამოსვლა გამოწვეულია გერმანიისაგან მიღებულ ცნობებით, რომ თითქოს ბავარიაში მოსალოდნელია მონარქიის აღდგენა და ავსტრიის შეერთება გერმანიასე.

პრესა გაკვრით განმარტავს ერიოს სიტყვას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ და ერიოს სიტყვას „მაგარ ტონს“ სადაც ის ამბობს, რომ ის ნებას არ მისცემს საბჭოთა კავშირს ჩაერიოს საფრანგეთის შინაურ საქმეში.

ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲠ ᲠᲐᲙᲣᲨᲝᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲗᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ.

ᲝᲠᲨᲐᲨᲘ დაპატიმრებულ იქნენ გლეხკორ რაკუშოვის და მისი ოჯახის მკვლელები: ძმები გელიგო, ერთი კუუგლიანის რაიონის პარტიული კომიტეტის საქმის მწარმოებელი მეორე კრუგლიანის საბჭოს ყოფილი მდივანი.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ.

ამ რამოდენიმე ხნის უკან შესდგა ჩვენი დივიზიის პოლიტ-მომუშავეთა და კომუნისტმეთაურთა თათბირი, რომელზედაც სხვა სერიოზულ საკითხთა შორის გაირჩა ყოფა-ცხოვრების საკითხებიც, როგორც ერთ უმთავრეს საშვალება წითელი არმიის პოლიტიკურ-მორალურო დონის ამაღლების საქმეში.

ვვეგონა ეს თათბირი ადრე მოიტანდა თავის ნაყოფს, მით უმეტეს თათბირზე საკითხის ყოველივე მხარე კარგათ იქნა გაშუქებული და ამხანაგებს მიეცათ მომავლისათვის სათანადო დარიგებანი.

ჩვენ გვინტერესებს იმ ამხანაგების აზრი, მით უმეტეს სამხკომების, რომლებიც იყვნენ ამ თათბირზე. ჩვენ შევეკითხეთ მათ: რას ნიშნავდა ჩვენი ლაპარაკი, რისთვის იყო ის თათბირი მოწვეული, რა საკითხი გაირჩა იქ, და თუ თქვენ იქ ნამდვილი წევრი იყავით და არა მაყურებლის როლს ასრულებდით, რატომ მიხდა, რომ ბევრი ამხანაგები კიდევ ეხლა საშინელი ლანძღვა-გინებით ეპყრობიან ამხანაგებს? ნუ თუ თათბირზე რაც ითქვა ის მარტო თქვენს ყურს და გულს სწვდა? ნუ თუ ის რაც ითქვა და მიღებულ იქმნა დარჩა კედლებს შუა? და ის არ ეცნო წითელ-არმიელთა უმეტესობას, კომპარტიის, კომკავშირის წევრებს, ჩვენს პოლიტ და მეთაურთა შემადგენლობას? იყო თუ არა ეს საკითხი უჯრედში გარჩეული, აუხსენით თუ არა მეთაურებს მათი მოვალეობა წითელი ჯარის აღზრდის საქმეში, რომ ცუდი ყოფა-ქცევის ამხანაგები კიდევ არ გამოგვეჩინა, რომლებიც სცემენ ჩვენი მეთაურების და პოლიტ-მომუშავეთა გავლენას მასაში?

თუ ეს ასე არ მომხდარა, ეს დანაშაულობაა, რომელსაც დაუყონებლივ გამოსწორება უნდა.

გუშინდელ „წითელ არმიელში“ მოთავსებული კორესპონდენცია წ. ა. აკაკაძის, ფარდას ხდის ბევრ უშნოებასა. მოქმედებას ჩვენი ამხანაგების წითელ-არმიელთან დამოკიდებულებაში, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

ისეთი ამხანაგები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, ვერ გაუთვალისწინებიათ მისი მოვალეობა უკანასკნელთ უნდა იქნენ გაფრთხილებული.

Გ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ᲔᲠᲘᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

„ᲩᲔᲛᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲜᲘᲡᲖᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲧᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ. ᲛᲔ ᲕᲘᲪᲐᲕ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲮᲐᲕᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲨᲜᲘᲓᲔᲚᲐᲓ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲖᲔ, ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲖᲔ, ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕ-ᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲗᲐᲜ.“

ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲛ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲠᲐᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲘᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲠ ᲠᲐᲙᲣᲨᲝᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲗᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ.

საგჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პასუხი ამსტერდამის ინტერნაციონალს.

29 იანვარს შესდგა ცენტრალური პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა ყველა პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტების მონაწილეობით.

სხდომაზე მიღებულ იქნა პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის საპასუხოდ შემდეგი:

„პროფკავშირთა საერთაშორისო“ ფედერაციას.

ასლი ბრიტანეთის პროფკავშირთა საბჭოს მთავარ მდივანს—ბრამლის და პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარეს—პერსელს.

სრულიად კავშირის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს არ შეუძლია არ გამოსთქვას გაკვირვება თქვენი წერილით, რომელიც ჩვენს აზრით უნდა ყოფილიყო ან გაუგებრობის შედეგი, ან ცალმხრივი გაგება ჩვენი სრულიად ნათელი წერილების.

თქვენ წერილში აღნიშნულია, რომ თითქოს ჩვენ გარჩევდეთ ყველა პროფორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესის მოწვევას იმ დროს, როცა ჩვენ პრაქტიკულ ნაბიჯად პროფკავშირთა საერთო გაერთიანებისათვის ვსთვლით პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციას და საბჭოთა კავშირს პროფკავშირთა გაერთიანებულ თათბირს.

ეს მხოლოდ ეს არის ჩვენი პრაქტიკული წინადადება ამ ჟამად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაერთიანებულ თათბირმა უნდა გამომუშავოს მეთოდები და საშუალებანი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს სრული ერთსულოვნობის მიღწევა, პროფკავშირთა გაერთიანებულ ინტერნაციონალური ორგანიზაციის შექმნა, რომელშიაც შედიოდეს პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციისა და პროფინტერნის მომხრე ყველა პროფკავშირები.

თუ რომ მოძებნილ იქნება საერთო ნიადაგი ამ შეერთებულ თათბირზე, იმ შემთხვევაში ყოველივე დანარჩენი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, არ იქნება ძნელი. ამისათვის, ჩვენის აზრით, პირველი ნაბიჯი გადადგულ უნდა იქნას კონფერენციის მოწვევის სახით, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით და რომლის განხილვას გირჩევდით თქვენ.

პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების იდეა წინ მიდის მთელ რიგ ქვეყნების მუშათა შორის, განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულების. ყოველივე ეს ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ შეგვძლეთ წავწოთ წინ პრაქტიკულად საერთაშორისო გაერთიანების საქმე.

რ. კავშ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **ტომსკი.**
მდივანი **დოგადოვი.**

მემამულეთა პოლონეთში.

კომფრაქციის შეკითხვა.

სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა პოლიციის მიერ პროფკავშირთა დარბევის შესახებ ბელოსტოკში.

პოლიციამ იქ გარეკა თითქმის ყველა პროფორგანიზაციები და დაბეჭდა მათი ბინები, რის გამოც შესწყდა პროფკავშირის მუშაობა.

პარტიზანული მოძრაობა.

ამ დღეებში პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც შესდგებოდა 50 კაცისაგან, გაანადგურა ნოვოპოლიეს მამული და გაიტაცა რამოდენიმე ცხენი.

მეორე რაზმი თავს დაესხა დოვგილიშკის მამულს. მათ დაედევნა პოლიცია და ადგილობრივი ჯარის ნაწილები, მაგრამ ამაოდ.

მესამე პარტიზანული რაზმი თავს დაესხა სვიატიცკის მამულს (დუბენსკის მაზოაში), დანგრია და ცეცხლს მისცა სახლები, ჯარების ცდამ მათ შესაპყრობად ამაოდ ჩაიარა.

პეტლიურას ყოფილი მინისტრის დაპატიმრება.

პოლონეთის „ოხრანკამ“ (დამცველი რაზმი) დაუპატიმრა პეტლიურას მთავრობის ევროპის საქმეთა მინისტრი კრასნო. მას ბრალს სდებენ ჯაშუშობაში საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

შეჩერებულ იქნა რეზოლიუციის სისრულეში მოყვანა გუშათა პარტიიდან კომუნისტების გამორიცხვის შესახებ.

ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომმა მიანდო განსაკუთრებულ ქვეკომისიის შეკრიბოს დამატებითი ცნობები და წარუდგინოს აღმასკომს იმ ანგარიშით, რათა აღმასკომმა მოთხოვნილ მოხსენების გაკეთება მახლობელ წლიურ კონფერენციაზე.

აღმასკომის ეს დადგენილება ნიშნავს იმ რეზოლიუციის დროებით შეჩერებას, რომელიც ეხებოდა კომუნისტების გამორიცხვას მუშათა პარტიიდან.

რკპ-ს ცეკას პლენუმის დადგენილება პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის გლეხ და მშრომელ ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დამტკიცა რკპ-ს ცეკას საორგანიზაციო ბიუროს რეზოლიუცია და მოუწოდა ყველა პარტორგანიზაციებს, ჩაატარონ ცხოვრებაში აღნიშნული პრაქტიკული ღონისძიებანი მშრომელ ქალთა შორის მუშაობის გატარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელ ქალთა მომხრობით ჩვენ სასიკეთილო ლოზუნგს ჩავსცემთ დახავსებულობისა და ჩამორჩენილობას, რომლითაც დღეს სარგებლობენ სოფლის ბნელი ელემენტები პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა რაც შეიძლება ნაბიჯულ იქნას აქტიურ მუშაობაში მშრომელ ქალთა უფრო ფართე მასები; ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სახალხო კვებას, ბავშვთა თავშესაფრებს, სამრეცხაოებთა და სამკურნალო პუნქტებს, რომლებიც ფართე სამიქმედო ასპარეზს აძლევს მშრომელ ქალებს; გაძლიერებულ იქნას განათლების საქმე მუშა და გლეხ ქალთა შორის, რაშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებლობამ.

გლეხკორზე თავდასხმა.

ჩებოკსარის საავთომყოფოში მიიყვანეს სიკვდილის პირზე მყოფი გლეხკორი ჩუკაშური გაზეთის „კანაშ“-ის კომკავშირელი სიმონ გრიგორიევი, რომელიც ააშკარავებდა კულაკების და ხელისუფლების ქვედა აპარატის წარმომადგენლების მოქმედებას. ცხრამეტ იანვარს ღამით სოფელ იანდოვოშის, ჩეპოკსარის მაზრაში, კულაკები სიმონ და ივანე პავლოვი, კუპრიანოვი და დიმიტრიევი ყვირილით „სცემეთ კორესპონდენტს“ დაეკენ გრიგორიევს და დაუწყეს ცემა. შემდეგ მას ძალზე ნაცემს უპირებდენ მდინარეში ყინულ ქვეშ ჩაგდებას. სწარმოებს გამოძიება.

განაჩენი პეტლიურელთა საქმეზე.

საბოლოო სიტყვაში ბრალდებულებმა ითხოვეს პატიება. სასამართლომ მიუსაჯა შმელს 5 წლით დაპატიმრება, რომელიც უნდა შეუმსუბუქდეს ერთი მესამედით, ამასთანავე ერთად სასამართლომ დაადგინა იუშუმდგომლოს ცაკის წინაშე შმელისთვის სასჯელის სრულებით პატიების შესახებ. განს. ბორისენკოს და ტუპჩენკოს მიუსაჯეს 5 წლით დაპატიმრება ქონების ჩამორთმევით. ხუთს მიესაჯა 5 წლით დაპატიმრება პირობით, ორი გამართლებულია.

ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

მეორე ინტერნაციონალის კომისიამ ვენაში დაამთავრა მოლაპარაკება ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან უთანხმოების შესახებ ჰუნგრეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიაში. მოლაპარაკების შედეგები გამოვეყენებული იქნება. ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატიული წრეები მას დამაკმაყოფილებლად სთვლიან. მოლაპარაკების დროს ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეკითხვების სპასუხოთ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაუქმებულია სოციალ-დემოკრატების შეთანხმება 1921 წ. პრემიერ ბეტლენთან. ამ განცხადების გამო ჯერ-ჯერობით ფორმალურად დაძლეულია უთანხმოებანი და აცილებულია განხეთქილება.

„დეილი-ტელეგრაფი“ სცრუობს.

ანატოლიის დეპეშათა სააგენტო უარყოფს „დეილი-ტელეგრაფ“-ის ცნობას, ვითომ ოსმალეთის მთავრობა შავზღვაზე საბჭოთა ფლოტის ყოფნის წინააღმდეგი იყოს.

ალბანეთის პრეზიდენტი.

ალბანეთის დამფუძნებელმა კრებამ აირჩია ახმედ ზოგუ ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ზირვირბას მოკვლა.

ალბანეთში მოკლულ იქნა ვითომ გაქცევის დროს ცნობილი რევოლიუციონერი ბელადი ზირვირბა, ბალკანეთის ფედერაციის დაარსების მომხრე.

რუმინეთის რეაქციონერების გაერთიანება.

ბუხარესტიდან იტყობინებიან რომ დამთავრდა მოლაპარაკება კონსერვატიულ ნაციონალურ პარტიის და სახალხო ნაციონალურ პარტიის გაერთიანების შესახებ.

ამხ. ტროცკის „შეცდომები ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

კომუნისტურ პარტიაში შესვლით ამხ. ტროცკიმ დიდი სარგებლობა მოუტანა მას, რევოლიუციის ხელმძღვანელობის ძმა. საქმეში. მუშაობდა რა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და ამხ. ლენინის ხელმძღვანელობის ქვეშ, ამხ. ტროცკი მოხდენილად აწარმოებდა აგიტაციის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, მონაწილეობდა ოქტომბრის გადატრიალების მოწყობაში და რევოლიუციის დაცვის საქმეში. პარტია და რესპუბლიკების კავშირის მშრომელი მასები აფასებენ ამხ. ტროცკის ამ დამსახურებას რევოლიუციის წინაშე.

მაგრამ უკვე პარტიაში შესვლის შემდეგ ამხ. ტროცკი წინააღმდეგ ცენტრალურ კომიტეტის და ამხ. ლენინის მითითებისა რამოდენიმე ჯერ შეეცადა წასულიყო თავის გზით და წაეყვანა თავისკენ ჩვენი პარტიის ნაწილი.

წინა წერილებში ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ის გზა, რომელსაც მიჰყვებოდა ამხ. ტროცკი ჩვენს პარტიაში შემოსვლამდე, მრუდე იყო. და ეხლა, როცა ის შეეცადა წასულიყო ცენტრალურ კომიტეტის ხელმძღვანელობის გარეშე თავის გზით, მან ჩაიდინა შეცდომების მთელი რიგი და სარგებლობის მაგივრად ზიანი მოუტანა. პარტია იძულებული იყო ებრძოლა ამხ. ტროცკის წინააღმდეგ, რათა დამტკიცებია მისი შეცდომა და დაერწმუნებინა ამ შეცდომაში ისინი, ვინც ამხ. ტროცკის მიჰყვებოდა.

ბრესტის ზავი.

პირველი დიდი შეცდომა ამხ. ტროცკიმ დაუშვა იმ ძნიმე დროს, როცა საბჭოთა ქვეყანას, ოქტომბრის გადატრიალებისთანავე—1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში ზავი უნდა შეეკრა გერმანიის იმპერიალისტებთან.

გერმანიის ჯარები უტეხვდენ ამ დროს საბჭოთა რესპუბლიკას თითქმის ყოველგვარ წინააღმდეგობის გარეშე. მეფის ძველ არმიას არ ჰქონდა ბრძოლის უნარი და ქვეყანა ბედის ანაბრად იყო. ხანგ-ძლივ, განმანადგურებელ ომით დაღლილ გლეხობას სურდა დასვენება როგორც არ უნდა ყოფილიყო.

მეფის მიერ შედგენილი არმიის რიგებში დარჩენა მას არ სურდა. სჯერო იყო ერთგული შესვენება, რომ მშრომელთა ხალხი გამომდგარიყო რევოლიუციონური ომისთვის, ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისთვის.

ეს კარგად ესმოდა ამხ. ლენინს და მოითხოვდა ბრესტის არახელსაყრელ ზავს შეკვრას. ის წინასწარ ხედავდა, რომ ომს შედეგად მოყვებოდა რევოლიუციის მთელი რიგი სხვა ქვეყნებში, რაიც დაეხმარებოდა ბრესტის ზავის დარღვევაში; მან იცოდა, რომ დასვენების შემდეგ რევოლიუციონური ხალხი შესძლებდა ძლიერი არმიის შექმნას თავის მონაპოვართა დასაცავ ბრძოლისათვის.

ამხ. ტროცკის არ ესმოდა ეს; ის არ უწყვდა ანგარიშს, რომ ძველი არმია მოკლებული იყო ბრძოლის უნარს და მოითხოვდა ბრძოლას. თუმცა ესეც დაუბავს უქადდა რევოლიუციას.

მან წამოაყენა ლოზუნგი:—არ არის საჭირო ომი, მაგრამ არც ზავის შეკვრაა საჭირო; აქ ის შეცდომით იმედოვნებდა, რომ გერმანიის ჯარები შეტევაზე არ გადმოვლენო, მაგრამ დასძრა თავის ჯარები და ჩვენ იძულებული შეეიქენით შეგვეკრა ზავი უფრო არახელსაყრელ პირობებში, ვინემ წინად.

ამხ. ლენინის ფიქრები გამართლდა: რევოლიუციის პირველმა აფეთქებამ გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში მოსპო ვილჰელმის მთავრობა და ბრესტის ზავიც გაბათილებულ იქნა.

ზავმა საშუალება მოგვეცა ჩვენ შეგვესვენებინა და შეგვექმნა წითელი არმია, რომელიც გმირულად იბრძოდა და იცავდა რევოლიუციის მონაპოვარს. მაშინ რომ ჩვენ წაულიყავით ამხ. ტროცკის გზით, შეიძლება დამარცხებულიყო თვით საბჭოთა ხელისუფლება. პარტია სწორად მოიქცა, რომ არ წავიდა ტროცკის გზით და არ დაენდო ლამაზ სიტყვებს:—არც ზავი, არც ომი,—რომლებიც მოასწავებდენ დამარცხებას.

ვ. სნეგირევი.
(„კ. ვ.“)

...ენინის კვირეული 5-ე ასეულში

...ამბ. ლენინის ხსოვნის აღსა-...ნავად 24 იანვარს შესდგა ...ი ლეგიონის მე-5-ე ასეუ-...ს საერთო კრება. კრებას და-...ო ასეულის მთელი შემა-...ენლობა.

...კრებაზე მოხსენებით გამო-...ა ამბ. ინნიშვილი, რომე-...ლ ვრცლად შეეხო ამბ. ლე-...ნის ცხოვრებას და მოღვაწე-...ობას, გაუთვალისწინა დამსწ-...ებს ლენინის მოძღვრება და ...ლენაწული, რომელიც მოუ-...ლ დიდ ბელადს მსოფლიო ...ბელოლუციის გაღვივების სა-...ქმეში. მომხსენებელმა აღნიშნა ...ალ დიდი წინაღმდეგობა-...ებელობემოდენ მას და ხელს

...ეშლიდენ დიადი მიზნების განხორციელებაში, მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი დაბრკოლებისა, ამბ. ლენინმა შესძლო ყოველივე ამის გადალახვა და მუშათა კლასი მოამზადა ისე, რომ მას შეუძლია სახელმწიფოს მართვა.

ამას ამტკიცებს ერთი წლის ულენინოთ საქმიანობა.

შეკითხვების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლუცია, რომელშიაც წითელი მოლაშქრეები სურვილს გამოსთქვამენ ამბ. ლენინის ხსოვნის განსამტკიცებლად შეისწავლონ ლენინიზმი.

სამხკორი **გ. ...ელ...ძე.**

...ითელ არმიელთა შემოქმედებანი ლენინის კვირეულში.

„...ანორამა“ № 34 (არტლე-...ნის ბიურო კოლექტივის ...ლის გაზეთი).

...ზეთის აღნიშნული ნომე-...ი მთლიანად მიძღვნილი აქვს ...ენინის გარდაცვალების ერ-...წლის თავს. გაზეთის მთე-...ი შინაარსი შეიცავს ცოცხებს ...ბელადის ბიოგრაფიიდან ...ა მოღვაწეობას, ცხოვრებას ...ა სხვა. წერილები: „ლენინის ...ოგრაფია“, „ერთი წელი ...ენინოთ“ (ფოფხაძის), „ლე-...ინი და ახალგაზრდობა“ (ჯა-...ლ...)ა „ლენინიზმი“, ლენი-...ს ბით, ლენინის ხსოვნას და ...ა ...ეტად შინაარსიანი არიან ...ა წითელ არმიელებისათვის ...ვ...ალ შესათვისებელი.

...ზეთში მოთავსებულია აგ-...ეთ წითელ არმიელების ძლი-...ერ...ბიერი ლექსები და ...ალები ლენინზე. გაზეთი ...ეგულად ძლიერ ლამაზია

I-ლ ლეგიონის 2-რე ასეულში.

ლენინის კვირეულის ჩატარებას ჩვენ ასეულში შეუდეგ 15 იანვრიდან. ასეულში მოხდა ლენინის კუთხის გადა-...ოსება, რომ მელშიაც ბატალიონი მონაწილეობა მიიღეს წ. ...ელებმა. კუთხეში მოეწყო სხვა და სხვა განყოფილებები: ...ლენინის განყოფილება, სამხედრო, რევიდასის და პო-...ტკური. განსაკუთრებული ყურადღება იქმნა მიქცეული ...ენინის განყოფილებაზე, ლენინის კუთხის გადახალისებისა-...ს საქმო თანხა, თვით წ. არმიელებმა გადავდევით იან-...ვ...ამაგრიდან.

...კუთხეში გაკრულია სხვა და სხვა პლაკატები ლენინის ...ცხოვრებიდან და ლოზუნგები.

...კუთხეში გამოკვნილი იქნა ლენინის წიგნები სხვა და ...ა...ა საკითხების შესახებ.

...ყოველ საღამოობით სწარმოებდა ხმა მაღალი კითხვა და ...ბრძოლები ლენინის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. წ. ...ელებმა ბევრ ახალ საკითხს გავეცანით ხმა მაღალი კით-...ვ...ა და საუბრის დროს.

წ. არმ. მ. უფლისაშვილი.

„წითელი ჯაჭვი“ № 1

(ელკე საკავშირო ასეულის კედლის გაზეთი).

...ზეთი ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად გამოვიდა. ამავე ...ს ის მიძღვნილია 9 იანვრის ამბებისადმი.

...სარედაქციო კოლეგიას გაზეთის გარეგნულ მხარეში არ ...ფერი მაინც და მაინც დიდი ცვლილება. ფორმატი ჩვე-...ულებრივია. შინაარსის მხრივ გაზეთი დამაკმაყოფილებ-...ელია, რადგან წერილების უმრავლესობა ეკუთვნის ასეულის ...ელ არმიელებს.

...ალწინავე დაწერილია წითელი არმიელის მიერ, ეხება ...ს გარდაცვალების ერთი წლის თავს და საბჭოთა რე-...ალ...ების ერთი წლის განმავლობაში საქმიანობას ულენი-...ნ...ან.

...ემდეგ მიდის წერილი ლენინის ცხოვრებისა და მოღვა-...ეობის შესახებ, აქვეა ლენინის სურათი, რომელსაც ამშვენე-...ს ...ოზუნგები:

„...ამუშაობისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას შე-...ა ...ალ...ცობრიობის ხსნა იმპერიალისტურ ომებისაგან“.

აქვე ლექსები ლენინზე; ქვევით იუმორისტული გა-ნყოფილება და სიზმრის ახსნა.

გაზეთი ძლიერ გარკვეულად არის ნაგეკი რემენქტო-ნზე და შინაარსითაც დამაკმაყოფილებელია.

იმედია ახლად არჩეული სარედაქციო კოლეგია დარსი-ულად შეასრულებს დავალებას და შემდეგში უფრო კარგ ნო-მერს გამოუშვებს-

ამასთანავე საჭიროა წითელ არმიელებს უფრო მეტი რაო-დენობა იქნეს ჩართული მუშაობაში.

სამხკორი **შალაშინი.**

საკლუბო მუშაობა მეთაურთა სკოლაში.

სკოლის კლუბი უმთავრესად ეწევა მასიურ მუშაობას კურსანტთა შორის, რომელიც გამოიხატება საჯარო მოხსენებებისა და საუბრების გამართვაში.

მუშაობაში ჩართულია არიან თვით კურსანტები.

ხშირათ იმართება წარმოდგენები, კინო და ცოცხალი სურათები. უფრო ხშირათ იდგმება რევოლიუციონური პიესები, რომლებიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებენ კურსანტებზე.

კლუბის უმთავრესი ყურადღება მიპყრობილია ლენინის კუთხეებზე, და შეძლების და ვარათ ეწევა მათ დახმარებას.

არსებობს სხვა და სხვა წრეები, დრამ-წრე, ლიტ-წრე, მომღერალთა ჯგუფი, სამხატვრო, სამხედრო ცოდნათა წრე და სხვა.

სხვა და სხვა საჭირო კომპანიების ჩატარებაში კლუბი ყოველთვის პირველობას იჩენს.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოწვეულ იქნა გამგეობის კრება, სადაც გამომუშავდა ლენინის გარდაცვალების წლის თავის ჩასატარებელი გეგმა.

თვით კლუბში ყველაფერი თავის რიგზედ და ლამაზად არის მოწყობილი. უმთავრეს ყურადღებას კი იპყრობენ კედლის გაზეთები.

წერილის უმრავლესობა გაზეთებში კურსანტებს ეკუთვნის.

გაზეთები გამოდის აგრეთვე თვითეულ ასეულში და განყოფილებებში და ყველა მათ ხელმძღვანელობას უწევს ჩვენი კლუბი.

სამხკორი **ჭ. ასათიანი.**

სიცივით ვიხოცებოთ.

მეთაურთა სკოლის საჯინიბოში ცხენები სჩიოდენ.

ფხუ, ფხუ, ფხუ-რას შვრები ამხანაგო ლურჯა, ხომ არ გაცივდი? წუხელი ძლიერ ცივი ქარი ქროდა, სულ გამეყინა გვერდები. არ ვიცი როგორ გაუძლო ამოდენ სიცივეს...

—ეჰ ჩემო ჯუკუ, მციოდა რომელია; პირდაპირ ამ ჩამოხსნილ კარებთან ვარ მიბმული და ზეზეულად გამაშეა ყინვებმა. არ ვიცი ღმერთმანი რა ვქნათ.

—ფხუუუუ...გაგიკვირდათ გაიქნია თავი ლურჯამ, შემოიგდო კუდი ზურგზე, გადახედა სხვა სიცივისაგან მოკუჭჩხულ ცხენებს და აუმაღლა ხმას.

—ასე როგორ შეიძლება, კარგს ჩამოხსნილ საჯინიბოში, სანამ უნდა ეიყვეთ?

ამხანაგებო, ჩვენი თავი ჩვენ რომ არ ვინაღვლოთ, მუშურ-გლეხური მთავრობის ზარალი მაინც უნდა გვფიქრობდეს. ვინ იცის რამდენი ფული დაზარჯულა ჩვენს მოვლაში და ეხლა ასე დაუდევრობით უნდა გავფუჭდეთ.

მეჯინიბეებიც აღარ გვეკარებიან; ძირს საშინელი ჭუჭყია სდგას, თუ დავწევით, ვისვრებით და მერე სულ უარესს გვიშვრება სიცივეები.

ამხანაგებო, მოვითხოვოთ ჩვენი სამნეო ნაწილის უფროსისაგან, რომ გამოგვიცვალონ საჯინიბო და კარები მაინც ჩამოობან.

—ფხუ, ფხუ, ფხუ.. მოვითხოვოთ, მოვითხოვოთო,-გამოეხმაურენ ცხენები.

—ამხანაგებო, ეგრე ნუ ვიზამთ.

უცებ მოისმა ბნელი კუნჭულიდან ხმა-ყველა ცხენებმა იქით მიიხედეს.

პატარა, გამხდარ წაბლა კისერი გაეგრძელებია, თავი მაღლა წაეღო და დიდრონი თვალები ისე გაბრწყინებოდა, რომ ლურჯამ ვეღარ მოითმინა, გვერდით გაეხახუნა ჯუკუს-შეხედე, რას დაგვნებია წაბლოო-და თავშეუკავებელი ფხუკუნი აუარდა.

—მოიცა ამხანაგო მოიცა, აბა მეცა ვსთქვა ერთი ჩემი აზრი და მერე ვნახოთ თუ არ მოგეწონება.

ამხანაგებო ალბად ყველამ დაინახეთ გუშინ ჩვენი მეჯინიბე, გაზეთს, რომ კითხულობდა.

ჰო და, მოდით და ასე მოვიქცეთ: მივანდოთ ლურჯას, დასწეროს ყოველი ჩვენი გასაჭირი, რომ ყურადღებას არავინ გვაქცევს და გავგზავნოთ იმ გაზეთის რედაქციაში. ის ხომ ჩვენი ამხანაგი წითელ არმიელების გაზეთია-ჰოდა. მერე გამოუშვებენ გაზეთში და სულ კუდით ქვას ასროლიებენ იმას ვინც ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევს. ხომ თანახმა ხართ?

—ეს კი კარგი აზრია!! ფხუ, ფხუ, ფხუ.....

—კარგია, კარგია!-გაისმა ყოველი მხრიდან. გაზ. „წითელ არმიელი“ ჩვენი მეგობარია...

—მართალია მედაჩემმა ღმერთმა სამნეო ნაწილის უფროს, რომ ვებრალებოდეთ აქამდე მოგვაქცევდა ყურადღებას, ჩაილაპარაკა ლურჯამ და ცოტა არ იყოს კიდევაც შერცხვა, არ მოელოდა თუ წაბლა ასეთ კარგ რამეს იტყოდა და ისიც ლურჯას დაასახელებდა სამხკორად.

თეძოლა ცხენი.

...ეჯრუნველყავით სამოსწავლო ნივთიგით.

პოლიტიკური სკოლის კურსანტები დაგვანაწილეს პირველი ლეგიონის ასეულებში, რომ წითელ არმიელებთან მეცადინეობით შევიძინოთ სათანადო პრაქტიკა.

მე მოვხვდი 8-ვე ასეულში. ამ ასეულში თითქმის ყველაზე უფრო მეტი წერა—კითხვის უცოდინარი არმიელები არიან (95 პროც.) ისინი ძლიერ მონდომებული არიან სწავლაზე.

სწავლა ყველას სურს, მაგრამ ასეულში არა აქვთ სკოლა. სიცივეებმა კიდევ უფრო გააფუჭეს საქმე. მასწავლებლები ცუდ მდგომარეობაში არიან. ამასთანავე წითელ—არმიელებს არ აქვთ რვეულები, რომ თავისუფალ წუთებში ივარჯიშონ და ხელი გაიწაფონ წერაში.

როდესაც მასწავლებლებს შევეკითხეთ თუ რა იყო ამის მიზეზი? გვეპასუხეს, რომ რვეულები რად უნდათ, სულერთია მაინც დახევენო. ასეთი საქციელი დაუშვებელია. წითელ არმიელებს უნდა დაურიგდეს რვეულები და სხვა სამოსწავლო ნივთები, თუ გვსურს, რომ ჩვენ-ა მოხდეს მათში წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია.

კურსანტი ლეონავ.

...ეხალი ...ამბები.

— **სემინარების მეცადინეობის განახლება.** გუშინ განახლდა მეცადინეობა საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაკთა მოსამზადებელ სემინარში, რომელიც არსებობს წითელ არმიელთა კლუბთან.

— **საბჭოთა არჩევნებისათვის.** ცენტრ. საარჩევნო კომისიამ მისწერა ყველა საარჩევნო კომისიებს, სისტემატიურად და თავის დროზე მოაწოდონ ცნობები ცენტრალურ კომისიას, არჩევნების მსვლელობის შესახებ.

— **საბინაო მიზნობრივი შეფობის მისალებათ.** სოფელ ასკანის (გურია) დამბმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კინო-მრეწველობის წინაშე სოფ. ასკანაზე შეფობის მიღების შესახებ.

ხილეულის ბაღის გაშენება. ბორჩალოს მაზრაში სოფ. ჩანახჩში გაშენებულია ხილის ბაღი, რომელშიაც მოშენებულია სხვა და სხვა ჯიშის ხილეულის ხეები.

თამბაქოს პლანტაცია. ლაგოდეხის გლეხკომს ამ ჟამად აქვს ექვსი დესეტინა თამბაქოს პლანტაცია.

ამინდი შირაქში. შირაქიდან მოსული ცნობით იქ არა ჩვეულებრივი სიცივეებია. განუწყვეტლივ სთოვს.

ბლეხების ნადი. სოფ. საგარეჯოში, ყოფ. ჯინოიანცის მამულში დაარსდა ადგილობრივი გლეხების ნადი, რომელშიაც შეიძინა გაუჯობესებული სამეურნეო იარაღები.

...ამგეგი სოფლებიდან.

ზარალიანობის გამოკვლევა ბორჩალოს აღმასკომმა გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს ლიუქსემბურგის რაიონის დაზარალების რაოდენობა, სტიქიურ მოვლენებისაგან და გამოიმუშაოს გეგმა დახმარების გასაწევათ.

სამუსიკო სასწავლებელი სიღნაღში. სიღნაღის აღმასკომმა გადასდო 600 მანეთი, ადგილობრივ სამუსიკო სასწავლებლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენათ.

სეტყვის წინააღმდეგ. სოფელ კარდენახში (სიღნ. მაზრა) გლეხებმა აირჩიეს სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი. კომიტეტი იმუშავებს კარდენახის თემის ფარგლებში.

მიწათ მოწყობა სოფლად. დეკემბრის განმავლობაში საქართველოს სხვა და სხვა სოფლებში გამოკვლეულია და დანაწილებულია ხარისხებათ 7.636 დესეტინა მიწა.

...ეხალი ...ამბები.

— **სემინარების მეცადინეობის განახლება.** გუშინ განახლდა მეცადინეობა საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაკთა მოსამზადებელ სემინარში, რომელიც არსებობს წითელ არმიელთა კლუბთან.

— **საბჭოთა არჩევნებისათვის.** ცენტრ. საარჩევნო კომისიამ მისწერა ყველა საარჩევნო კომისიებს, სისტემატიურად და თავის დროზე მოაწოდონ ცნობები ცენტრალურ კომისიას, არჩევნების მსვლელობის შესახებ.

— **საბინაო მიზნობრივი შეფობის მისალებათ.** სოფელ ასკანის (გურია) დამბმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კინო-მრეწველობის წინაშე სოფ. ასკანაზე შეფობის მიღების შესახებ.

ხილეულის ბაღის გაშენება. ბორჩალოს მაზრაში სოფ. ჩანახჩში გაშენებულია ხილის ბაღი, რომელშიაც მოშენებულია სხვა და სხვა ჯიშის ხილეულის ხეები.

თამბაქოს პლანტაცია. ლაგოდეხის გლეხკომს ამ ჟამად აქვს ექვსი დესეტინა თამბაქოს პლანტაცია.

ამინდი შირაქში. შირაქიდან მოსული ცნობით იქ არა ჩვეულებრივი სიცივეებია. განუწყვეტლივ სთოვს.

ბლეხების ნადი. სოფ. საგარეჯოში, ყოფ. ჯინოიანცის მამულში დაარსდა ადგილობრივი გლეხების ნადი, რომელშიაც შეიძინა გაუჯობესებული სამეურნეო იარაღები.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

ᩩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ № 19-ᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲠᲓᲐᲠᲐ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲐᲖᲠᲘᲡ.

ᲐᲛᲑ. ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲔ 3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲬᲔᲠᲘᲡᲐ:

„ᲐᲦᲡᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲣᲤᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ ᲛᲘᲪᲐ ᲣᲕᲓᲝᲛ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ“. ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ: „ᲐᲦᲡᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐ..... ᲛᲘᲪᲐ 7 ᲓᲦᲔᲗ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ“.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ შესდგა 26 კომუნარის სახელობის მუშათა საბინაო აᲨᲮ ნაგობა, რომელიც დაამტკიცა ტფილისის ქალაქის აღმასკომმა.

— **დაზღვეულთა ხელახალი აღ-ᲘᲪᲮᲕᲐ.** 2 თებერვლიდან უმუშევართა დამზღვევი განყოფილება შეუდგება დაზღვეული უმუშევარ საბუთთა მუშაკების ადრიცხვას

— **გადასახადისაგან განთავ-სუფლება.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ა. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს წინაშე, რათა მიზნობრივ საბინაო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნენ პროფკავშირის წევრები და სხვა და სხვა დარგების მუშები.

— **მეჯინიბეთა კურსები.** მ-წად-მოქმ. სახ. კომისარიატმა ტფილისში გახსნა მეჯინიბეთა კურსები, რომელზედაც მეკადინეობა დაიწყო 26 იანვრიდან.

— **ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲒᲘᲜᲘ.** კერძო სამკურნალოგინი, რომელიც დღემდე იმყოფებოდნენ ᲯᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ მეთვალყურეობის ქვეშ, გადაეცა ქალაქის ᲯᲐᲜᲗᲐᲛᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ განყოფილებას.

— **წამლეულობით უზრუნველყოფა.** ამაღლატორიუმის წამლეულობით და შესახვევი მასალით უზრუნველ საყოფად მიმდინარე წელსა, აღმასკომმა გადალდო 23 ათასი მანეთი.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲨᲘ.

„ᲙᲐᲠᲣᲗᲝᲜᲘ“ თავდამსხმელთა საქმე.

30 იანვრის სხდომა ტრიბუნალმა მოანდომა მოწმეების საბოლოო შეკითხვა ამა თუ იმ ფაქტების დასამტკიცებლათ.

გარდა ამისა წაკითხულ იქნა აგრეთვე თავზე დამსხმელ ქარუმიძის თვით მკვლელობის ოქმი, რომელიც არაა საზოგადო ინტერესს მოკლებული და რომელსაც აქვს ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ერთხელ ქარუმიძე მისულა მისი მეგობრის დგებუაძის ოჯახში და განუცხადებია, რომ ოჯახში უსიამოვნების მოხდენის გამო სთხოვს შეეფაროს იგი რამოდენიმე ღამით.

მართლაც ქარუმიძემ გაათია ღამე და მეორე დილას ვიღაცებმა კარზე დააკაკუნეს.

გამოვიდა დგებუაძე, რომელიც დაპატიმრებულ იქნა.

მოსულებმა იკითხეს ვიღაც უცხოელი, მაგრამ ამ დროს ქარუმიძე მიხვდა რომ მას ეძებენ, წამოიავლო იქვე დგებუაძის რევოლვერს ხელი და დაუწყო მოსულ საგანგებო კომისიის ხალხს სროლა

ბოლოს თითონაც მოიკლა თავი

ᲮᲠᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲘ.

ბრალმდებელმა შეკითხვა მისცა ხრაკინს, თუ რათ უნდოდა მას მოწმობა სხვისი გვარით. ამ მოწმობაზე აღნიშნული იყო ბორის ზინოვისძე რიკი.

ბორის ზინოვისძე—ᲮᲠᲐᲙᲘᲜᲘᲐ, მაგრამ რიკი კი უცნობი გვარია, სჩანდა რომ ეს იყო ერთი ყალბი საბუთთაგანი ხრაკინისა. მოწმობაზე სურათი იყო, რომელიც ძლიერ გავდა ბრალდებულს. ᲮᲠᲐᲙᲘᲜᲘᲡ უარყო, რომ ეს არ იყო მისი მოწმობა, არამედ ეს მოწმობა მისი ბიძაშვილის, რომელიც მსახურებდა ხარკოვის საგ.. კომისიაში და რომელიც ატარებდა ორ გვარს.

ერთხელ, რატომდაც დაპატიმრეს ხრაკინი და მისი ბიძაშვილი. დაპატიმრებისას საბუთები შეცდომით მიაკუთვნეს ხრაკინს.

ამის შიდეკ სასამართლომ დასრულებულათ გამოაცხადა საზოგადო ძიება და სხდომა გადადო დღეის დილის 10 საათისთვის. დღეს იქნება მხარეთა კამათი.

დ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ.

ᲰᲐᲔᲠᲝᲠᲒᲝᲠᲐᲜᲘ ᲚᲘᲚᲘᲠᲣᲚᲘ.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საავიაციო კორპუსს აქვს თავის განკარგულებაში მსოფლიოში აღსანიშნავ ᲰᲐᲔᲠᲝᲠᲒᲝᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ უმცირესი ᲰᲐᲔᲠᲝᲠᲒᲝᲠᲐᲜᲘ. თუმცა ამ პაწია ᲰᲐᲔᲠᲝᲠᲒᲝᲠᲐᲜᲘᲡ ფრთების სიგრძე უდრის 18 ფუტს, მიუხედავად ამისა ის ანვითარებს საათში 115 კილომეტრის სიჩქარეს.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲓᲚᲘᲐᲜᲘ (ᲪᲘᲚᲘᲜᲓᲠᲘᲐᲜᲘ) ᲛᲝᲢᲝᲠᲘ 60 ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ძალით.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲘᲢᲘᲡᲘᲠᲝ რადიუსი, ანუ შეუსვენებლად ფრენა მას შეუძლია 500 კილომეტრის მანძილზე.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲠᲘ 60 ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ძალით.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲘᲢᲘᲡᲘᲠᲝ რადიუსი, ანუ შეუსვენებლად ფრენა მას შეუძლია 500 კილომეტრის მანძილზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲐᲜᲙᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ამ სამი წლის წინდ გერმანელმა და შვედელმა ექიმებმა ერთ და იმავე დროს აღმოაჩინეს ახალი საშუალება შანკირის წინააღმდეგ, რომელსაც უწოდეს „ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ“.

ეს „ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ“ მათ დაამზადეს შანკირით გამოწვეულ წყლულში აღმოჩენილ ბაცილებისაგან, მაგრამ იმ დროს ეს საშუალება ვერ იქნა სათანადო გამოყენებული და კიდევაც მიანებეს თავი.

ამ ჟამად როგორც იტყოფენენიან ცნობილ მეცნიერებს ნიკოლასა და დიუპანს გამოუნახავთ ამ „ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ“—შარდის გამოყენების საშუალება და გასაოცარი შედეგები მიუღიათ.

41 შანკირით დაავადმყოფებულთაგან ამ შარდით სრულია მოურჩენიათ 40 კაცი.

შარდს უშვებენ ავადმყოფის სხეულში კუნთების ან სისხლის მიმომქცევ ვენების საშუალებით.

წამლობა გრძელდება ხანგამოშვებით 3—4 დღეს განმავლობაში.

პირველად ავადმყოფობა სხეულში უშვებენ ერთ გრამ შარდს და შემდეგ კი თანდათან ადიდებენ დოზას 5 გრამამდე.

შანკირის წყლულები იწყებენ გაქრობას მესამე ან მეოთხე შეხებაპენების შემდეგ.

ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲠᲘ 60 ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲘᲢᲘᲡᲘᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲣᲡᲘ, ᲐᲜᲣ ᲨᲔᲣᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ 500 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲘᲢᲘᲡᲘᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲣᲡᲘ, ᲐᲜᲣ ᲨᲔᲣᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ 500 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲜᲘᲚᲔᲑᲝᲜ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘ.

მძიებლებს კარგათ უნდა ქონდეს შეგნებული, რომ იმ დროიდან, როდესაც ისინი შეჩნეული იქნებიან მტრის მიერ შეუძლებელია ძიების წარმატებითი წარმოება. ამიტომ მძიებლების მიერ შენიღბვის სწორეთ და სათანადოთ გამოყენება ფრიად მნიშვნელოვანია:

მცირე სიმაღლეზე აფრენილ ᲰᲐᲔᲠᲝ-ᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ შეიძლება არამც თუ ᲯᲐᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ შემჩნევა, არამედ თითო ოროლა ადამიანებისაც კი. ამიტომ ზაჯხულში თვითმფრინავის გამოჩენისას მძიებელმა უნდა გადაუხვიოს შარა გზიან, განაგრძოს სვლა თხრილებში და ეცადოს გამოიყენოს ადგილობრივ საგნებს ჩრდილები. ზამთარში კი პირიქით ეცადოს შარა გზით სიარულს.

საზოგადოთ უმჯობესია თვით მფრინავის გამოჩენისას გამოიყენოთ ადგილობრივი საგნების ჩრდილები და მოეფაროთ მათ, დაწვეთ, და ყოველ შემთხვევაში არ იმოძრაოთ.

ძიებაში გამგზავრების დროს არავითარ შემთხვევაში თან არ წაიღოთ არავითარი საბუთები. ყველა ეს შეიძლება მტერს ხელში ჩაეგდოს და იმით მან ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები მიიღოს.

მძიებელმა უნდა ეცადოს მოძრაობის დროს გამოიყენოს ისეთი ადგილები, სადაც მოიპოვება მრავალი ადგილობრივი საგნები, რომ თვით არ იქნეს მათ შორის თვალსაჩინო. ყოველ შემთხვევაში უნდა ერიდოთ ისეთი ადგილებს, რომელიც თავის საერთო ფერით ძლიერ განსხვავდება მძიებლის ტანისამოსისაგან.

ღია ადგილები მძიებელმა უნდა გადაირბინოს შეუჩერებლათ.

მოძრაობის დროს უნდა დაიცვას სიჩუმე და ხმა მაღლა არ ილაპარაკოს.

ერიდეთ ისეთ დასახლებულ ადგილებს, სადაც მცხოვრებლებს თუ არა, ძაღლებს შეუძლიათ გასცენ თქვენი მოძრაობა. ნუ გაგებინებთ, მათ თქვენ მიზანს, ნუ მისცემთ მათ სწორ ცნობებს, პირიქით გაავრცელეთ ყალბი ცნობები თქვენი ნაწილების სასარგებლოთ.

უფთო ძნელია მძიებლის შენიღბვა იმ დროს, როდესაც მტერს მიუახლოვდები. მტრის მახლობლათ უშუალო მოქმედებისათვის საჭიროა ასეულში იქონიოთ ნიღაბ-ხალათები, რომლებიც შედებული იქნებიან ადგილობრივ ბუნების და მიხედვით.

ზაფხულობით მძიებლები ისარგებლებენ ნიღაბ-ხალათებით.

ზამთარში იხმარება თეთრი ხალათი, რომლებიც არგანირჩევენ თოვლში.

მოძრაობის შენიღბვისათვის მძიებელს შეუძლია მოიხმაროს ხის ტოტები, რომლებიც თავთან მიმაგრებიან ან ხელში დიიკავებიან.

შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ტალახით დასვაროს თავისი ბეჭედი და სახე—მოკაზმულება.

ქუჩებში მოძრაობის დროს, უნდა დაიჭიროთ ჩრდილიანი მხარე.

ტყეში მოძრაობის დროს უნდა იაროთ არ გზით არამედ მის მახლობლათ. გაკაფული ადგილები ხოხვით უნდა გაიაროთ.

ტყეში უნდა ერიდოთ ხმაურობას ფოთლების შრიალს და სხვას.

თვალთვალისათვის არ უნდა ამოიჩიოთ გაშლილი, ადგილათ შესამჩნევი ადგილები.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შაშხანა თოფის ხელში დ ჭერას. ვინაიდან უკანასკნელს შეუძლია მძიებელი გასცეს.

სიფრთხილით მოქმედება უნდა აგრეთვე ღამე. უნდა გახსოვდეს, რომ ღამე ადამიანი ადვილი შესაჩნევია გაშლილ ღია ფონზე. არ უნდა ისარგებლოთ სანათებით, თამბაქოს სწევა დაუშვებელია.

ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲦᲑᲕᲐ.

როგორც მეთაურთა შემადგენლობამ ისე წითელ-არმიელებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ცნობები როგორც თავის ნაწილებზე, ის მტრის ნაწილებზე საიდუმლოებას წარმოადგენენ.

ამის გამო ომში ყოველგვარი ბრძანება იცემა საიდუმლოთ.

გარდა იმისა რაც აუცილებელი საჭიროა ბრძანების შესასრულებლათ ხელქვეითმა არ უნდა იცოდეს.

სამსახურის სახის ლაპარაკი ისე უნდა ხთებოდეს, რომ ერთმა პირს არ შეეძლოს მისი დაყურება.

ამისათვის დაუშვებელია კერძო მეხოვრებლებთან ლაპარაკი და თუნდაც ერთმანეთშორის მათ თან-დასწრებით, არ უნდა დასახელოთ ასეულის რაოდენობა, სად იყო ის მანამდე, რა მიზანი აქვს ასეულს, უფროსების გვარები, სად იმყოფება ვაზნების მარაგი და სხვა ამგვარი.

ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება კერძო პირთა მეხოვრებლებია საშუალებით გაავრცელოთ ყალბი ცნობები.

ასეთ ყალბი ცნობების გავრცელება უნდა მოხდეს ისე, რომ შეძლების დაგვარათ არავინ იცოდეს, რომ ის ყალბია და უნდა გავრცელდეს ისე, ვითომც უფროს უცამედათ წამოცოა.

შესაძლებელია აგრეთვე საიდუმლოთ გაანდოთ ზოგიერთ მეხოვრებლებს ყალბი ცნობები იმ იმედით, რომ ის წარმატებით გაავრცელებს მას მეხოვრებლებთა შორის და მიახწევს მტრამდე.

რომ მტერი შეცოდაში შეიყვანო ასეულის შესახებ კარგია დალაგების ადგილზე დასტოვოთ ყალბი საბუთები, მხოლოდ ასეთები არ უნდა დარჩეს ღია ადგილებზე, რომ მტერი ეჭვში არ შევიდეს მის სინამდვილეში.

Შ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲐᲛᲑ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით თანადო განმარტება მივსცე გაზ. „წითელ-არმიელის“ № 6 მოთავსებულ წერილზე პარტკომ მზვერავს.

ამბ. მზვერავი სწერს, რომ აღნიშნული ლეგიონის საბრძოლო ასეულში არიან „ვენერიული სენით დაავადებული“ მიელები და ექიმმა ისინი არ გადაგზავნა საავადმყოფოშიო და იქვე კითხულობს, ხომ შეიძლება ავადმყოფმა არმიელმა სხვას გადადავს ეს სენიო.

ამბ. მზვერავს უნდა უპასუხო შემდეგი: აღნიშნული არმიელებიდან ერთს არავითარი სენი არა სჭირს, ხოლო ორი კი სისტემატიურად დაიარებიან სპეციალისტთან ამბულატორიაში და რადგანაც შეპყრობილი არიან სუსუნატი არავითარ ამ სენის გადადებას არმიელებზე იდგილი არ ეკუთვნება. არა ერთხელ გვითქვამს არმიელებისთვის ლეკციების დროს, რომ ქრონიკული სუსუნატი ხანგრძლივი წამლობის შემდეგ აღარ არის გაძლიერებული. როგორც ეტყობა მზვერავს ცუდად გაუგია ჩვენი ლეკციები.

ამბ. უნდა სცოდნოდა, რომ გადამდებ და იგიც ვენერიული ავადმყოფობით დასნეულებულს ყაზარმაში არ გაჩერებდით.

უფროსი ექიმი ᲚᲣᲒᲝᲕᲝᲘ.

პასუხისმგებელი რედაქტორი Ლ. ᲩᲐᲜᲗᲚᲐᲫᲔ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

Ს. Კ. Ჯ. ᲪᲔᲙᲘᲡ ᲛᲔ 3 ᲛᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ Ა. Წ. 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ, 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ 3 ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲓᲒᲣᲚᲘ Თ. ᲙᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲬᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

ᲛᲫᲘᲕᲐᲜᲘ: ᲕᲐᲠᲗᲝᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲘ.

Თ. ᲓᲔ. Ს. Ც. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ Ქ. № 3. ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 1200.